საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ველტყევი

ველტყევი, კვეშლევი, მთა ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, რაჭის ქედზე, მდინარეების ჯრუჭულისა (ყვირილის მარჯვ. შენაკადი) და კრიხულის (რიონის მარცხ. შენაკადი) წყალგამყოფ მონაკვეთზე. სიმაღლე ზ. დ. 1927 მ. აგებულია ცარცული ასაკის კირქვებით. ვ-ის სამხრ.-აღმ. კალთა ციცაბოა, დანარჩენი – დამრეცი. ყველაზე დამრეცია ჩრდ.-დას. კალთა, რ-საც ახასიათებს რელიეფის კარსტული ფორმები. ვ-ის ზედა ნაწილი შემოსილია სუბალპ. ბუჩქნარითა და მდელოებით, ქვედა – სოჭისა და წიფლის ტყეებით.

ს. ნემანიშვილი